საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს დადგენილება წყალდაცვითი ზონებისა და წყალდაცვითი (სანაპირო) ზოლების პროექტების შემუშავების წესის შესახებ

მოსამზადებელი ეტაპი

- ტერიტორიის გეგმარებით-კარტოგრაფიული მასალის შერჩევა და მოპოვება;
- ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგია;
- ტერიტორიის რელიეფი, მიწათსარგებლობა;
- ტერიტორიის ფუნქციური გამოყენება;
- საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

საველე სამუშაოები

- ბუნებრივი პირობების ადგილზე დაზუსტება;
- ზედაპირული წყლის ობიექტზე უარყოფითი ზემოქმედების ობიექტები;
- მათი წყალდაცვითი ზონებიდან გატანა/არ გატანის საკითხები.

კამერალური

- წყლის ობიექტის დაბინძურების წყაროების ნუსხის შედგენა;

- GIS გამოყენებით წყალდაცვითი ზონების საზღვრების დატანა;

- ზედაპირული წყლის ობიექტის დაცვა-აღდგენის ღონისძიებების შემუშავება;

- წყალდაცვითი ზონების საზღვრები დაიტანება მასშტაბით 1:10 000;

- დასახლებებში წყალდაცვითი ზოლების საზღვრები დაიტანება მასშტაბით 1:2 000;

- წყალდაცვითი ზონების საზღვრები გამოსახება ლურჯი ფერის წყვეტილი ხაზით;
- წყალდაცვითი ზოლის საზღვრები - წითელი ფერის წყვეტილი ხაზით.

განმარტებით ბარათს თან ერთვის

ფორმა:

- მიწების ექსპლიკაციის;
- ტერიტორიების ფუნქციური გამოყენების;
-წყალდაცვით ზონაში განთავსებული ობიექტების დახასიათების; და
სარეკომენდაციო ღონისძიებათა ნუსხა;

ტექნიკური რეგლამენტი ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზონისა და წყალდაცვითი (სანაპირო) ზოლის შესახებ

- მარეგულირებელი რეგლამენტის მიზანია წყლის რესურსების დაცვა

დაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისა და დაშრეტისაგან;

- განსაზღვრავს წყალდაცვითი ზონის/ზოლის საზღვრების დადგენის წესს;

- წყალდაცვით ზონად ითვლება პროექტით დადგენილი წყლის ობიექტის მიმდებარე ტერიტორია;

- რეგლამენტი არეგულირებს საქმიანობის წესს ამ ტერიტორიებზე;

-მდინარის წყალდაცვითი ზონა მოიცავს მდინარის მშრალ კალაპოტს, ჭალას, ნაპირებს, მიმდებარე ხევებსა და წყაროებს;

- წყალდაცვითი ზონის ფარგლებში შედის სანიტარული დაცვის ზონა და წყალდაცვითი ზოლი.

- წყალდაცვითი ზონის პროექტის არ არსებობის შემთხვევაში წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში:

ა) 10 მეტრამდე სიგანის კალაპოტის მქონე მდინარეებისათვის - 10 მეტრი;

ბ) 10-20 მეტრი სიგანის კალაპოტის მქონე მდინარეებისათვის - 20 მეტრი;

გ) 20-50 მეტრი სიგანის კალაპოტის მქონე მდინარეებისათვის - 30 მეტრი;

დ) 50-100 მეტრი სიგანის კალაპოტის მქონე მდინარეებისათვის - 40 მეტრი;

ე) 100 მეტრი და მეტი სიგანის კალაპოტის მქონე მდინარეებისათვის - 50 მეტრი.

- იმ წყალსატევებისათვის, რომლებიც არ გამოიყენება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება:

- წყალსაცავებისათვის - წყლის მაქსიმალური დონის კიდის ხაზიდან არანაკლებ 30 მეტრით;

- ტბებისათვის - პლაჟის ან ნაპირის კიდის ხაზიდან არანაკლებ 30 მეტრით.

- მაგისტრალური და სხვა არხების წყალდაცვითი (გასხვისების) ზოლის სიგანე აითვლება არხის ნაპირებიდან არანაკლებ 4 მეტრისა ორივე მხარეს

- ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზონის/ზოლის დადგენა ხორციელდება განაშენიანების გენერალური გეგმებისა და მიწათმოწყობის სქემების შესაბამისად.

წყალდაცვითი ზონის/ზოლის ფარგლებში მოქმედი აკრძალვები

- წყალდაცვითი ზონის ფარგლებში აკრძალულია:
- მშენებლობა-რეკონსტრუქცია, გარდა წყალთან თავსებადი ობიექტებისა;
- სავარგულების შხამქიმიკატებით შეწამვლა;
- სასაფლაოების და ცხოველთა სამარხების მოწყობა.
- წყალდაცვითი ზონის მიწები შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ან სარგებლობაში მიწის დადგენილი შეზღუდვების დაცვის პირობით;
- პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.